



AUDITESCORT

*Reliable escort for your
business*

სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს

სპეციალური დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება და აუდიტორის დასკვნა

2011 წლის 31 დეკემბრის

მდგომარეობით

შინაარსი/საძიებელი

აუდიტორული დასკვნა	1
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში	5
ზოგადი კომენტარები	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები	6
შემოსავლების და გადასახდელების ანგარიშგება	6
საბალანსო ანგარიშგება	7
წმინდა ღირებულების ანგარიშგება	8
3. ძირითადი საშუალებები	8
4. მარაგები	9
5. დებიტორები	9
6. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება	10
7. პროცედურული სახელმძღვანელო	12

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“
ფინანსური ანგარიშგების აუდიტის
ანგარიში

LLC Auditescort
Address: Tbilisi alexidze str. I
E-mail: info@auditescort.ge
ს6/IN: 205229439
T/Fax: (+99532) 144 500
Site: auditescort.ge



შპს აუდიტესკორტი
მის.: ქ. თბილისი, ალექსიძის I
E-mail: info@auditescort.ge
ს6/IN: 205229439
T/Fax: (+99532) 144 500
Site: auditescort.ge

ქ. თბილისი

05 /04 /2012 წელი

აუდიტორული დასკვნა

ადრესატი:

- სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“-ს სამეურვეო საბჭო და გენერალური დირექტორი.

მთავარი აუდიტორი:

- შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი“-ს მთავარი აუდიტორი ზუბიკო შავდათუაშვილი (საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საბჭოს მიერ გაცემული საკვალიფიკაციო სერთიფიკატი ზოგად აუდიტში Nზ#5/365 14.06.2010 წელი).

ორგანიზაცია:

- დასახელება: სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი“
- მისამართი: ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. N68
- საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163

1. ჩვენ ჩავატარეთ სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელის“ (შემდგომში „ორგანიზაცია“) 2011 წლის საქმიანობის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ორგანიზაციის ბალანსს (ფორმა

№1), ანგარიშს ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა № 2), ანგარიშს არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 2-1), ანგარიშს ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 2-2), ანგარიშს წმინდა ღირებულების ანგარიშგების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 3), ანგარიშს სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 4), ანგარიში არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 5) და ანგარიშს ავტომატური ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ (ბალანსის დანართი ფორმა № 6). ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად (შემდგომში „ინსტრუქცია“).

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

2. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს; ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას, ასევე შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

3. ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩვენთვის წარმოდგენილ მტკიცებებზე დაყრდნობით, გამოვთქვათ მოსაზრება ფინანსური ანგარიშგებაზე. აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც

მოითხოვს, სამუშაოს შესრულებას ეთიკის ნორმების მოთხოვნებთან შესაბამისობასა და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

4. აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და ახსნა-განმარტებით შენიშვნებზე. კონკრეტული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რაც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობითა და შეცდომებით გამოწვეული არსებითი უზუსტობების რისკის შეფასებას. არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისას, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომელიც მნიშვნელოვანი და შესაფერისია ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე მოიცავს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული სააღრიცხვო შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

5. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აუდიტის მსვლელობისას მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები, დასკვნისთვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

დასკვნის მოდიფიცირება

6. ორგანიზაციაში შექმნილია საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ბალანსზე რიცხული მატერიალური ფასეულობების სრული ინვენტარიზაცია და მარკირება, რომელიც დაიწყო 2010 წელს და არ დასრულებულა 2011 წლის განმავლობაშიც. ანგარიშგების შედგენის მომენტისთვის დამთავრებულია ძირითადი საშუალებების მარკირების პროცესი. კომისიამ რეკომენდაციები მისცა გენერალურ დირექტორს ჩამოიწეროს ამორტიზებული და გამოსაყენებლად უვარგისი ქონება. სამუშაოთა დიდი მოცულების გამო, 2011 წლის ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ არის

შეჯამებული და განხორციელებული საინვენტარიზაციო კომისიის რეკომენდაციები. აქედან გამომდინარე, ჩვენ არ შეგვიძლია არსებითად დავადასტუროთ, ან უარვყოთ ბალანსში ასახული ნაშთების რეალობა.

7. დროის სიმცირის გამო, ჩვენ ვერ მივიღეთ დასტური დებიტორებისაგან, თუმცა ორგანოზაციის მიერ ამ კუთხით ჩატარებული სამუშაოების მოცულობა, გვაძლევს დასაბუთებულ საფუძველს დასკვნის შესადგენად.

მოსაზრება

ჩვენი აზრით, გარდა მე-6 და მე-7 პარაგრაფებში მოყვანილი საკითხებისა და მასთან დაკავშირებული კორექტირებებისა, თუ ასეთს ადგილი ექნებოდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება უტყუარად და სამართლიანად ასახავს სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის“ ფინანსურ მდგომარეობას 2011 წლის 31 დეკემბრისთვის, მისი საქმიანობის შედეგებს მოცემული თარიღით დამთავრებული წლისათვის და მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის № 1321 ბრძანების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად.

შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი“

დირექტორი:

მინდია ტაბალუა

მთავარი აუდიტორი:

ზუბიკო შავდათუაშვილი



სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ანგარიში

ზოგადი კომენტარები

ანგარიში შედგენილია სსიპ „საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელსა“ (შემდგომში „მაუწყებელი“) და აუდიტორ კომპანია შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა კომპანია აუდიტესკორტი“-ს შორის 2012 წლის 26 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად და ითვალისწინებს მაუწყებლის 2011 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. წინა 2 წლის აუდიტი ჩატარებული აქვს შპს „იუ-ბი-სი ინთერნემენალს“. აუდიტის პროცესში ჩვენ დავეყრდენით წინა უდიტის მიერ შესწავლილი შიდა კონტროლისა და ბუღალტრული აღრისხვის სისტემების შეფასებას და საწყისი საბალანსო ნაშთების სისწორეს 2010 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

1. ზოგადი ინფორმაცია

მაუწყებელი არის „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, სახელმწიფო ქონების საფუძველზე ტელერადიომაუწყებლობისთვის შექმნილი, ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც არ ექვემდებარება არცერთ სახელმწიფო უწყებას. მისი მიზანია პოლიტიკური და კომერციული გავლენისაგან თავისუფალი, საზოგადოებრივი ინტერესების შესაბამისი, მრავალფეროვანი პროგრამების მიწოდება საზოგადოებისთვის. საზოგადოებრივი მაუწყებლის ხელმძღვანელი ორგანოები არიან: სამეურვეო საბჭო, გენერალური დირექტორი. მისი მიზნების განსახორციელებლად, მაუწყებელი ფინანსირდება როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ასევე ახორციელებს კომერციულ საქმიანობას, დამატებითი შემოსავლების მოსაზიდად. კერძოდ, მისი შემოსავლის წყაროს 2011 წლის განმავლობაში წარმოადგენდა იჯარით გაცემული აქტივებიდან წარმოქმნილი შემოსავლები. ასევე, სპორტულ პროგრამებში განთავსებული რეკლამებისა და სასპონსორო დროის გაყიდვებიდან შექმნილი შემოსავლები. ოფისის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, თბილისი, 0171, მ.კოსტავას ქ. 68.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ორგანიზაციის მიერ ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებულია:

-საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულება „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“;

-ორგანიზაცია კვარტალურ და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას ყოველწლიურად წარუდგენს ფინანსთა სამინისტროს, როგორც საბიუჯეტო დაფინანსების მქონე, სახელმწიფო კონტროლის ქვეშ მყოფი სსიპ-ი. ფინანსური ანგარიშგებები მზადდება ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად (შემდგომში „ინსტრუქცია“).

შემოსავლების და გადასახდელების ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი და 2011 წლის 31 დეკემბერი

	2010 წელი		2011 წელი	
	საკასო	ფაქტიური	საკასო	ფაქტიური
ნაშთი წლის დასაწყისისთვის	15,9	11 884,8	214,6	6 347,6
შემოსავლები სულ	5 801,9	14 121,7	6 919,3	2 747,0
შემოსავლები საკუთრებიდან	887,4	726,2	494,5	605,8
საქონლისა და მომსახ. რეალიზ.	4 624,2	3 756,6	1 470,7	1 381,4
სანქციები, ჯარიმები, საურავები	6,1	7,7	1,2	9,7
შერეული და სხვა არაკლასიფ. შემოსავ.	282,5	9 631,2	260,1	353,1
მათ შორის				
ბანკის სესხი			4 692,3	
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოს.	1,8	-	0,5	396,9
ხარჯები	5 603,2	8 584,6	4 529,9	5 862,0
შრომის ანაზღაურება	19,4	19,4	26,4	32,8
საქონელი და მომსახურება	3 065,9	5 111,2	4 205,5	4 656,1
ძირითადი კაპიტალის მოხმარება		941,3		828,7
პროცენტი	631,3	631,7	287,8	287,8
სხვა ხარჯები	6,2	1 881,1	10,2	56,5
არაფინანსური აქტივები			329,8	
ძირითადი აქტივები	456,0		187,8	
მატერიალური მარაგები	207,9		142,1	
ვალდებულებები	792,8		2 137,2	

საშინაო	792,8	2 137,2		
ბიუჯეტში გადახდილი თანხები	423,8	23,1		
ნაშთი წლის ბოლოს	214,6	6 347,6	113,7	9 462,6

საბალანსო ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი და 2011 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	2010 წლის ბალანსი	2011 წლის ბალანსი
აქტივები		
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	217,1	232,9
დებიტორული დავალიანებები	2 684,0	2 295,5
წინასწარი გადახდები	1 571,5	3 628,7
სულ ფინანსური აქტივები	4 472,6	6157,1
არაფინანსური აქტივები		
შენობა-ნაგებობები	2 687,8	2 641,7
მანქანა-დანადგარები და ინვენტარი	9 450,1	10 428,1
სხვა ძირითადი აქტივები	3 927,3	3 743,8
სხვა დანარჩენი ძირითადი აქტივ.	1 503,0	1 362,1
სხვა მატერიალური მარაგები	1 628,3	1 917,8
არაწარმოებული აქტივები	1 206,3	1 206,3
სულ არაფინანსური აქტივები	20 402,8	21 299,8
სულ აქტივები	24 875,3	24 456,9
ვალდებულებები და კაპიტალი		
ფინანსური ვალდებულებები	7 433,6	8 918,7
ვალდებულებ. მოწოდ. და მომსახ.	10 600,2	10 148,6
საგადასახადო ვალდებულებები	1 319,4	2 381,5
გადასახდელი ხელფასები	83,5	83,5
ვალდებულებები მივლინებით	0,3	0,3
სოციალური დაზღვევის ანარიც.	65,0	9,8
ვალდებულებები დეპონენტ. მიმართ	3,5	3,5
გადასახდელი პროცენტები	1,6	1,6
წინასწარ მიღებული შემოსავლები	269,6	103,8
სხვა დანარჩენი კრედიტ. დავალ.	1,2	4,0
წმინდა ღირებულება	11 445,0	15 264,2
დაუფარავი ზარალი	6 347,6	9 462,6
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	24 875,3	24 875,3

წმინდა ღირებულების ანგარიშგება

2010 წლის 31 დეკემბერი და 2011 წლის 31 დეკემბერი

(ათას ლარებში)

	2010 წელი	2011 წელი
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2010	11 235,5	
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2011		11 445,0
ზრდა:		
მიღებული დაფინანსება	38 299,7	46 496,1
უსასყიდლოდ გადმოცემული აქტივები		87,9
სხვა ეკონომიკური ნაკადები	14,1	5,1
სულ წმინდა ღირებულების ზრდა	38 313,8	46 589,1
შემცირება		
მომუშავეთა ანაზღურება	(7 816,7)	(1 703,3)
საქონლისა და მომსახურების გამოყენება	(26 102,5)	(36 824,4)
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	(3 562,8)	(3 641,2)
მ.შ.ფიზიკური ცვეთა	(3 562,8)	(3 641,2)
პროცენტი	(16,1)	(152)
სოციალური უზრუნველყოფა	-	(54,7)
გრანტი	-	(178,4)
სხვა ხარჯები	(42,5)	(136,6)
უსასყიდლოდ გადაცემული აქტივები	-	-
სხვა ეკონომიკური ნაკადი	(563,7)	(79,3)
სულ წმინდა ღირებულების შემცირება	(38 104,3)	(42 769,9)
წმინდა ნაზარდი პერიოდის განმავლობაში	2,1	3 819,2
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2010	11 445,0	
წმინდა ღირებულების ნაშთი 31/12/2011		15 264,2

3. ძირითადი საშუალებები

3.1 ინვენტარიზაცია

წინა აუდიტის რეკომენდაციიდან გამომდინარე, ორგანიზაციის გენერალური დირექტორის ბრძნებით შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელმაც გააგრძელა 2010 წელს დაწყებული ინვენტარიზაცია – მარკირების პროცესი.

ინვენტარიზაცია, ანგარიშის შედგენის თარიღისთვის, არ არის დასრულებული. ჩვენი რეკომენდაციაა, ხელმძღვანელობამ, სამუშაო პროცესში წამოჭრილი საკითხები გადაჭრას ეტაპობრივად; შეიმუშაოს ბალანსში ასახული უვარგისი აქტივების ჩამოწერისა და სხვა საჭირო ღონისძიებების (ჯართად რეალიზაცია, ან სპეციალისტების მეშვეობით აქტივის გამოყენების სფეროს განსაზღვრა, ხოლო არარსებული ან გაძარცვული აქტივების საკითხის სამართალდამცავი ორგანოებისთვის გადაცემა) გეგმა, რომელიც ხელს შეუწყობს ასახული ნაშთების კორექტირებასა და რეალური ბალანსის შედგენას.

3.2 საკუთარი უფლებების რეგისტრაცია

წინა აუდიტის მიერ, ორგანიზაციის მენეჯმენტს დაევალა, შესაბამის სამსახურებს საჯარო რეესტრში დაერეგისტრირებინა ქონებაზე საკუთრების უფლება. რეკომენდაცია შესრულებულია. მსგავსი ხარვეზები 2011 წლის ანგარიშგების შესწავლისას, შერჩევითი შემოწმებით, არ გამოვლენილა.

4. მარაგები

მიმდინარე ინვენტარიზაცია შეეხება, როგორც ძირითად საშუალებებს, ასევე მატერიალურ მარაგებს. ანალოგიური მდგომარეობაა მარაგების აღრიცხვასთან დაკავშირებითაც.

ჩვენი რეკომენდაციაა, ორგანიზაციამ დაასრულოს მიმდინარე ინვენტარიზაცია და უვარგისი და გამოუსადეგარი მარაგები ჩამოწეროს ბალანსიდან.

5. დებიტორები

მაუწყებელში 2011 წელს გენერალური დირექტორის ბრძანებით შეიქმნა მოთხოვნებისა და ვალდებულებების საინვენტარიზაციო კომისია, ბალანსზე რიცხული მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესწავლისა და შემდგომი რეაგირების მიზნით. კომისიის წევრებისადმი წარდგენის მიზნით ფინანსური ანალიზისა და დაგეგმვის სამსახურს, ასევე ბუღალტერიის მიერ უნდა იქნას მოძიებული ბოლო სამი წლის (2009, 2010 და 2011 წლები) განმავლობაში შედარების აქტები, დავალიანებების დასადასტურებლად, იმ ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც დღეის მდგომარეობით ირიცხება მოთხოვნა-ვალდებულებების სახით.

სულ დებიტორ ები	1996- 2000	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
5924249	257098	4316	6761	716	302464	123581	573	2204	8174	157586	2291896	2768880
100%	4%	0%	0%	0%	5%	2%	0%	0%	0%	3%	39%	47%

გაწეული სამუშაოების შდეგად, როგორც წარმოდგენილი ცხრილიდან ჩანს, გაცილებით შემცირდა ხანდაზმულ დებიტორებზე რიცხული დავალიანებები. 2011 წელს, წინა წელთან შედარებით, 14% შემცირდა ახლადწარმოქმნილი დებიტორული დავალიანების სიდიდე, თუმცა გაიზარდა წინასწარი გადარიცხვების სიდიდე. როგორც ორგანიზაციის ბალანსზე დართული, ანგარიშზე რიცხული დავალიანებათა შესახებ ბუღალრტული ანგარიშიდან ჩანს, 2011 წელს წარმოქმნილ დებიტორთა საკმაოდ დიდი ნაწილი წარმოადგენს, იჯარით გაცემული ქონების საიჯარო ქირის დროულად გადაუხდელ თანხებს.

ჩვენი რეკომენდაციაა, ორგანიზაციის ხელმძღვანელობამ დაავალოს, იურიდიული დეპარტამენტისა და შიდა აუდიტის თანამშრომლებს, ფინანსური ანალიზისა და დაგეგმვის სამსახურებთან ერთად, გაააქტიურონ მუშაობა თანხების ამოღების მიზნით, თითოეული დებიტორის დონეზე. მიიღონ გადამწყვეტი ღონისძიებები ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობისას, საჯარიმო სანქციების გამკაცრებისა და მათი ეფექტურად ამოქმედების თაობაზე.

6. ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება

ორგანიზაციისათვის 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა დაფინანსებამ 45 000,0 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა საკასო ხარჯებმა 46 496,1 ათასი ლარი. მთლიან საკასო გადახდებში, ხარჯების ხვედრითმა წილმა 86,2% შეადგინა, არაფინანსური აქტივების ზრდისათვის განკუთვნილმა საკასო გადასახდელებმა 10,6%, ვალდებულების კლებისთვის (სასესხო უზრუნველყოფა) გაწეულმა საკასო ხარჯმა მთლიანი გადახდების 3,2%.

ორგანიზაციის ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის ანგარიშის მიხედვით (ბალანსის დანართი ფორმა N 2), მუხლით „შრომის ანაზღაურება“ გაწეულმა საკასო და ფაქტობრივმა ხარჯმა 1703,3 ათასი ლარი შეადგინა, ხოლო სახელფასო ფულადმა განაცემებმა, შტატგარეშე მომუშავე

პერსონალზე „საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან 8 525,2 ათასი ლარი. სულ ხელფასის სახით გახარჯულმა თანხებმა 10 228,5 ათასი ლარი. ამავე ანგარიშის თანახმად, შტატით მომუშავეთა ფაქტიურმა რიცხოვნებამ 53 პირი, ხოლო შტატგარეშეთა ფაქტიურმა რაოდენობამ 992 პირი, რაც 18-ჯერ მეტია შტატით მომუშავეთა რიცხოვნებაზე. შტატით მომუშავეთა საშუალო სახელფასო განაკვეთმა 2 678.14 ლარი შეადგინა თვეში, ხოლო შტატგარეშეთა საშუალო ხელფასმა 716.15 ლარი.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ორგანიზაციაში დაინერგა ხელფასების დარიცხვის ახალი პროგრამა, რომელსაც 2011 წელს დაემატა ხელფასების დარიცხვის ხაზინის ერთიანი საკონტროლო პროგრამა. ხელფასების დარიცხვის შერჩევითი შემოწმებით სხვაობები არ გამოვლენილა.

დასახელება	დამტკიცებული გეგმა	დაზუსტებული გეგმა	გადახდა	ფაქტობრივი ხარჯი	სხვაობა გადახდასა და ფაქტობრივ ხარჯს შორის	სხვაობა გადახდასა და დაზუსტებულ გეგმას შორის	ხვედრითი წილი მთლიან საკასოსთან (%)
სულ გადასახდელები	45 000,0	46 500,0	46 496,1	42 690,5	3 805,6	- 3,9	100,0
ხარჯები	39 344,4	40 094,7	40 091,0	42 690,5	-2 599,5	-3,7	86,2
შრომის ანაზღაურება	1 797,0	1 703,3	1 703,3	1 703,3	-	-	3,7
საქონელი და მომსახურება	37 364,5	37 887,7	37 887,5	36 824,4	1 063,1	-	81,5
ძირითადი	-	-	-	3 641,2	-3 641,2	-	-
კაპიტალის მოხმარება	-	152,4	152,0	152,0	-	0,4	0,3
პროცენტი	-	170,0	167,0	178,4	-11,4	-3,0	0,4
სუბსიდიები	44,8	54,7	54,7	54,7	-	-	0,1
გრანტები	-	-	-	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა სხვა ხარჯები	138,1	136,6	136,6	136,6	-	-	0,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5 655,6	4 932,4	4 932,2	-	4 932,2	-0,2	10,6
ვალდებულებების კლება	-	1 472,9	1 472,9	-	1 472,9	-	3,2

7. პროცედურული სახელმძღვანელო

წინა აუდიტორთა მიერ გაკეთდა რეკომენდაცია, აღწერილიყო ორგანიზაციაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესები. 2011 წელს პროცესების აღწერა და მათი დადოკუმენტირება არ განხორციელებულა. ჩვენი აზრით, ასეთი სახის პროცესების, ამ პროცესებში მონაწილე პირებისა და მათი პასუხისმგებლობების აღწერა, მნიშვნელოვნად გაუადვილებს ხელმძღვანელობას ორგანიზაციის მართვას, თვალნათლივ დაანახებს მართვის ხარვეზებს და ხელს შეუწყობს ეფექტური კონტროლის დანერგვას.

შპს „დამოუკიდებელ შემფასებელთა და აუდიტორთა
კომპანია აუდიტესკორტი“

დირექტორი:

მინდია ტაბალუა

მთავარი აუდიტორი:

ზუბიკო შავდათუაშვილი

